თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2013 წლის 10 ოქტომბერი სხდომის ოქმი #11

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანის მოადგილ აკაკი მიქაბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 21, სტუდენტები – 3, სულ – 24 წევრი.

დღის წესრიგი

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე/

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე/

3. თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის (ინგლისურენოვანი) კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

4. ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

5. ყოფილი თეუსუსა და სესუს თავსებად პროგრამებთან მიმართებით დამატებითი სემესტრების სტუდენტების მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

6. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სწავლის საფასურზე შეღავათის დაწესების შესახებ;

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

7. მიმდინარე საკითხები

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ ბატონმა აკაკი მიქაბერიძემ საბჭოს წევრებს მიმართა, რადგან მას დეკანის მოვალეობის შესრულება შესაბამისი სამართლებრივი აქტით არ ევალება, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარეობის უფლებამოსილებაც არ გააჩნია. ამიტომ საჭიროა საბჭოს თავმჯდომარის არჩევა და თხოვა საჭოს წევრსბს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება. თავმჯდომარის კანდიდატურად დასახელებულ იქნა სრული პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი.

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ელგუჯა მექვაბიშვილმა საბჭოს წევრს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მდივნობიდან მარინა ნაცვალაძის გათავისუფლების შესახებ

/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე/

ბატონმა აკაკი მიქაბერიძემ საბჭოს გააცნო ასოც. პროფ. მარინა ნაცვალაძის განცხადება საბჭოს მდივნობიდან გათავისუფლების შესახებ. ვინაიდან მოხდა შრომით ხელშეკრულებაში ცვლილებები, ქალბატონი მარინა სხვა უმაღლეს სასწავლებელში ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით ითხოვს საბჭოს მდივნობიდან გათავისუფლებას.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 24;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: მარინა ნაცვალაძე გათავისუფლებულ იქნა ფაკულტეტის საბჭოს მდივნობიდან.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ

/საბჭოს თავმჯდომარე სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილი/

ბატონმა ელგუჯა მექვაბიშვილმა საბჭოს გააცნო ასოცირებული პროფესორის მარინა ნაცვალაძის განცხადება საბჭოს წევრობიდან გათავისუფლების შესახებ. ვინაიდან მოხდა შრომით ხელშეკრულებაში ცვლილებები, ქალბატონი მარინა სხვა უმაღლეს სასწავლებელში ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით ითხოვს საბჭოს წევრობიდან გათავისუფლებას.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 24;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: მარინა ნაცვალაძე გათავისუფლდეს ფაკულტეტის საბჭოს წევრობისგან.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ

/საბჭოს თავმჯდომარე სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილი/

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ელგუჯა მექვაბიშვილმა საბჭოს მიმართა თხოვნით დაესახელებინათ მდივნის კანდიდატურა. ასოცირებულმა პროფესორმა ნაზირა კაკულიამ მდივნის კანდიდატუტად დაასახელა ხათუნა ბარბაქაძე.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 24;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს მდივნად არჩეულ იქნას ხათუნა ბარბაქაძე.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის (ინგლისურენოვანი) კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ი. ანანიაშვილმა, სრ. პროფ. თ. შენგელიამ, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 24;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის 2013 სასწავლო წლის კურსდამთავრებულს:

დიპლომი წარჩინებით:

1. ცუცქირიძე გიორგი
2. აბაშიძე ნინო
3. ხუბულაშვილი რობიზონ
4. მუკბანიანი ნანა
5. სვანიძე მირანდა
6. ფხაკაძე ნიკოლოზ
7. ლაპიაშვილი ირმა

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. ვარდიშვილი ია
2. მაზმიშვილი ანა
3. ქარქაშაძე ცოტნე
4. ბიჭია ქუჯი
5. კვერღელიძე ნინო
6. ცინცქილაძე დალი
7. ფრუიძე ნინო
8. როსტომაშვილი არჩილი
9. ვაჭარაძე ალექსანდრე
10. კვაჭაძე ბადრი
11. მკრტიჩიან ნარეკ

მოისმინეს: ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. თ. შენგელიამ, სრ. პროფ. ნ. თოდუამ, სრ. პროფ. რ. გველესიანმა, სრ. პროფ. ქ. მარშავამ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 24;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: მიენიჭოს ევროპისმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ევროპული კვლევების ინსტიტუტის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

1. სალომე მარკოზია;
2. მარიამ აფციაური;
3. ნინო ხელაძე;
4. ანჟელა აბულაძე;
5. ქეთევან თათარაშვილი.

მოისმინეს: ყოფილი თეუსუსა და სესუს თავსებად პროგრამებთან მიმართებით დამატებითი სემესტრების სტუდენტების მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყოფილი თეუსუსა და სესუს შემოერთების შემდეგ აკადემიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება ამ პროგრამების თსუ-ს პროგრამებთან თავსებადობის შესახებ, მაგრამ არიან სტუდენტები რომლებმაც იქ შეიჩერეს სტატუსი სანამ გადმოვიდოდნენ, ან მეოთხე კურსზე იყვნენ და მილევად რეჟიმში იყო მათი პროგრამა, ან აქ გადმოსვლის შემდეგ შეიჩერეს სტატუსი, ამიტომ სპეციფიკური პროგრამით თითქმის ვეღარ ახერხებენ სწავლის დასრულებას. მაგალითად, სტუდენტი რომელიც სწავლობდა 2007-2011 სასწავლო წლის პროგრამით და აღიდგინა შეჩერებული სტატუსი დგება პრობლემა, რადგან მაშინ მიეწოდებოდათ 6 კრედიტიანი საგნები, აქ კი უკვე გვაქვს 5 კრედიტიანი საგნები და შესაბამისად, აღარ ხდება 6 კრედიტიანი საგნების შეთავაზება. ამდენად, ამ საკითხებთან დაკავშირებით საჭიროა სპეციფიკური მიდგომა ინდივიდუალურად თითოეულ სტუდენტზე და ფაკულტეტის საბჭოსთან გვაქვს თხოვნა, რომ კრედიტების აღიარების კომისიამ ინდივიდუალურად განუსაზღვროს აღნიშნული სტუდენტებს ის საგნები, რომელიც შეიძლება რომ აითვისოს პროგრამის შესაბამისი მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, სრ. პროფ. გ. ღაღანიძემ, სრ. პროფ. ნ. თოდუამ, სრ. პროფ. ე. ხარაიშვილმა, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა, ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილმა.

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სწავლის საფასურზე შეღავათის დაწესების შესახებ;

/საბჭოს თავმჯდომარე, სრული პროფესორი ე. მექვაბიშვილი/

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. მ. მარგველაშვილმა, სრ. პროფ. თ. შენგელიამ, სრ. პროფ. რ. გველესიანმა, სრ. პროფ. ნ. თოდუამ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 24;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: შეიცვალოს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს (ოქმი #8, 2010 წელი 19 ნოემბერი) გადაწყვეტილება და შეღავათები გავრცელდეს უნივერსიტეტის პერსონალ-დოქტორანტებზე (აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი) და შეღავათი განისაზღვროს 50%-ით.

მოისმინეს: დოქტორანტ ტარიელ ლომიას (ეკონომიკის სადოქტრო პროგრამა), ირაკლი მურცხვალაძის (ეკონომიკის სადოქტრო პროგრამა), ვახტანგ ჭარაიას (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა) სწავლის საფასურზე შეღავათის შესახებ.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. თ. შენგელიამ, სრ. პროფ. რ. გველესიანმა, სრ. პროფ. ნ. თოდუამ, სრ. პროფ. მ. მარგველაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 24;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: დოქტორანტ ტარიელ ლომიას (ეკონომიკის სადოქტრო პროგრამა), ირაკლი მურცხვალაძის (ეკონომიკის სადოქტრო პროგრამა), ვახტანგ ჭარაიას (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა) სწავლის საფასურის შეღავათი განესაზღვროს 50%-ით.

მოისმინეს: სრული პროფესორ ეთერ ხარაიშვილის წარდგინება ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით დაჯილდოებაზე

/სრული პროფესორი რ. გველესიანი/

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ს. გელაშვილმა, სრ. პროფ. ი. ანანიაშვილმა, სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, ასოც. პროფ. ხ. ბარბაქაძემ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 24;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს:

I. სრული პროფესორი ეთერ ხარაიშვილი წარდგენილ იქნას ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალზე;

II. აღნიშნულის დამტკიცება ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
სრული პროფესორი: ე. მექვაბიშვილი

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოც. პროფ: ხ. ბარბაქაძე